ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3648777

ნომერი: AR1546323

თარიღი : 03.10.2017

გაცემის თარიღი : 31.10.2017

გაცნობის თარიღი : 01.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიზკულტურის , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიზკულტურის , N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორიშვილი , (ფიზკულტურის) N24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა მჭედლიძე პ/ნ 01009000789
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 36 ბ. 44

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ვესთ საიდ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405008922
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შ.პ.ს. "ვესთ საიდ"-ის დირექტორები: პაატა მჭედლიძე; ზაზა ათანელოვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009000789; 01012005656

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: ბრძანება № 3580608
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 2.10.2017

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ბრძანება №1619958
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.12.2014

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 3 ოქტომბრის №AR1546323 განცხადებით მომართა მოქ. პაატა მჭედლიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ქუჩა ფიზკულტურის, N24 / N26 / ქუჩა ბოჭორიშვილი, (ფიზკულტურის) N24-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.13.023.158), მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა, ასევე ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" გათვალისწინებით, 2017 წლის 15 აგვისტოს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა გამოსცა №3475551 ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. დამკვეთის მხრიდან დოკუმენტაციის ნაწილის წარმოუდგენლობასთან დაკავშირებით, თანახმად საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა, 2017 წლის 10 ოქტომბრის №3599372 ბრძანების მე-4 პუნქტით დამკვეთს დაევალა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 სექტემბრის N1-1950 ბრძანების მე-2 პუნქტის შესრულება და აღნიშნული ბრძანების შესაბამისად გადახდილი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის სრულად გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძანება ცნობილ იქნებოდა ძალადაკარგულად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 3 ოქტომბრის №AR1546323 განცხადებით ხელმეორედ მომართა მოქ. პაატა მჭედლიძემ და წარმოადგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 სექტემბრის N1-1950 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად გადახდილი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის სრულად გადახდის დამადასტურებელი ქვითრი. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მოქ. პაატა მჭედლიძემ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მითითებები შეასრულა დროულად და სრულად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს მოქ. პაატა მჭედლიძის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 ოქტომბრის №3599372 ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
2. 2017 წლის 3 ოქტომბრის №AR1546323 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 10 ოქტომბრის №3599372 ბრძანებასთან ერთად.
4. 2017 წლის 10 ოქტომბრის №3599372 ბრძანების მე-2 პუნქტში დაზუსტდეს მშენებლობის ვადა და განისაზღვროს 2017 წლის 31 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
5. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს დამკვეთს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.